

დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს 26.04.2023 წ.
№ 04-01/35 დადგენილებით
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი

თ. კუჭერაძე



განხილულია

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი N 17 17.04.2023
მ. ჯორბენაძე

ფაკულტეტის დეკანი პროფესორი

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის სახელწოდება

მოდის დიზაინი FASHION DESIGN

განათლების საფეხური

ბაკალავრიატი BACHELOR DEGREE

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მოდის დიზაინის ბაკალავრი BACHELOR OF FASHION DESIGN

პროგრამის მოცულობა ECTS

240

სწავლების ენა

ქართული

სწავლის ღირებულება

2250 ლარი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურში და ერთიანი ეროვნული გამოცდები. პირები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება ჩაირიცხონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გადიან მხოლოდ შემოქმედებით ტურს. შემოქმედებითი ტური ზემოაღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე ტარდება ხატვაში ეროვნულ გამოცდებამდე.

თითოეული საკონკურსო ნამუშევარი საგამოცდო კომისიის მიერ ფასდება 100 ქულიანი სისტემით მოცემულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის ერთობლიობით. ხატვა - 2/3 საგნიანი ნატურმორტი დრაპირებით - ფანქარში (5 საათი)

შეფასების კრიტერიუმები

კომპოზიციური განაწილება სასურათე სიბრტყეზე;
გრაფიკული კულტურა - შტრიხი;
საგანთა აგება კონსტრუირება;
შუქ-ჩრდილი, რეფლექსი;
პროპორცია და მასშტაბი;
საგანთა ფორმა-ხასიათი;
მასა და სიმკვრივე;
პერსპექტივა;
ფაქტურა;
სივრცე.

შეფასება

9-10 ქულა - სრულად არის დაცული კრიტერიუმი;
7-8 ქულა-ძირითადად არის დაცული კრიტერიუმი;
5-6 ქულა-ნაწილობრივ არის დაცული კრიტერიუმი;
3-4 ქულა- კრიტერიუმი ნაწილობრივ ნაკლოვანია;
1-2 ქულ -კრიტერიუმი ძირითადად ნაკლოვანია;
0 - არ არის დაცული კრიტერიუმი.

პროგრამის მიზანი

მოდის დიზაინი თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საინტერესო, დინამიური და ფართო დარგია. იგი ვიზუალური აზროვნებისა და შემოქმედებითი მუშაობის პროცესია. ცოდნა და აზროვნების პროცესი ძირითადად ხორციელდება პრაქტიკული მუშაობით, რომელიც დეკორატიული ხედვის თვალსაზრისით მუდმივად რაიმე სიახლეს წარმოშობს. სასწავლო პროგრამა სტუდენტს პროფესიის დაუფლების პროცესში მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებს არ უყენებს. მას ამ დარგში აქტიური წვლილის შეტანისა და ინდივიდუალური თვითგამოხატვის საშუალებასაც აძლევს.

პროგრამის მიზანია:

1. ქვეყნის, რეგიონისა და ზოგადად საზოგადოების ინტერესების შესატყვისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება მოდის დიზაინის სფეროში; სტუდენტმა შეიძინოს პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა, გაერკვეს დიზაინის სპეციფიკაში და განსაზღვროს მისი როლი თანამედროვე მოდისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განვითარებაში; შეძლოს საკუთარი პოტენციალის რეალიზება შემოქმედებაში და იყოს მდგრადი შრომის ბაზარზე.
2. დაეუფლოს მოდის დიზაინთან დაკავშირებული, მომიჯნავე საშემსრულებო/შემოქმედებითი, ტექნიკურ/ტექნოლოგიური, ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ცოდნას.
3. დაეუფლოს დიზაინერული პროექტების/კონცეფციების ხორშესხმისთვის აუცილებელ პროცესებს, დაპროექტება/კონსტრუირების, მასალაში შესრულების უახლეს მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. პრაქტიკულ/შემოქმედებითი მიდგომით ჩამოაყალიბოს საპროექტო კონცეფცია და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შექმნას ექსკლუზიური/მასობრივი პროდუქტი.
4. გამოიყენოს ცოდნა: შემოქმედებით საქმიანობაში; ფუნქციური, ესთეტიკური, ჰარმონიული, კომფორტული და უსაფრთხო პროდუქტის შესაქმნელად, საზოგადოების, დამკვეთის, მომხმარებლის ინტერესებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით. განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებები და დაგეგმოს საკუთარი პროფესიული განვითარება.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ევრისტიკული მეთოდი;

ახსნა-განმარტებითი მეთოდი;

დემონსტრირების მეთოდი;

პრაქტიკული მეთოდი;

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;

პროექტირების თანამედროვე ევრისტიკული მეთოდები: დეკონსტრუქციის მეთოდი; გონებრივი იერიში; დაკვირვების მეთოდი;

ნეოლოგიის მეთოდი; მოწინავე ტექნოლოგიის მეთოდი; ინვერსიის მეთოდი; ანალოგიის მეთოდი.

ცოდნა და გაცნობიერება

მოდის დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

1. ახდენს ფართო ზოგადი ცოდნის დემონსტრირებას მოდის დიზაინთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების, ბიზნეს ურთიერთობებისა და სფეროს უახლესი მიღწევების შესახებ;
2. ახდენს მოდის დიზაინთან დაკავშირებული თანამედროვე პრაქტიკული და თეორიული მეთოდების ცოდნის დემონსტრირებას, განსაზღვრავს დარგის შესაბამის კონსტრუქციებს, ტექნიკა-ტექნოლოგიებს, მასალებს და რაციონალურად იყენებს სასურველი შედეგის მისაღებად;
3. განსაზღვრავს და აღწერს მოდის დიზაინის მიმართულების ნაშრომების შესრულებისათვის აუცილებელ თეორიულ/შემოქმედებით/ტექნიკურ-ტექნოლოგიურ პროცედურებს და პროცესებს;
4. დიზაინერული ნაწარმის დაპროექტება/შესრულების პროცესში ითვალისწინებს დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს.

უნარი

5. პროექტზე, საშემსრულებლო/შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკულ გამოცდილებას;
6. თეორიულ/პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად გეგმავს და არჩევს მასალების, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ/ესთეტიკურ/საექსპლუატაციო თვისებებს, იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
7. შემოქმედებითი მიდგომით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ან/და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დამოუკიდებლად ახორციელებს დიზაინერულ პროექტებს.
8. თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ქმნის სხვადასხვა ტიპის პროდუქტს და კვალიფიციურ დონეზე წარუდგენს მას დაინტერესებულ მხარეებს;
9. საშემსრულებლო/შემოქმედებითი დავალებისათვის მოპოვებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და კვლევის მეთოდების გამოყენებით, ამუშავებს და ინტელექტუალური და შემოქმედებითი საკუთრების უფლების დაცვით დოკუმენტურად აყალიბებს დიზაინერულ პროექტს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

10. მოდის დიზაინერული პროექტის შემუშავებისა და მასალაში შესრულების პროცესში, პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით მუშაობს ინდივიდუალურად/გუნდურად და ამ პროცესში სხვადასხვა ფორმითა და მეთოდებით ამყარებს კომუნიკაციას;
11. აფასებს საკუთარი კომპეტენციის დონეს, განსაზღვრავს სწავლის საჭიროებებს და გეგმავს კარიერულ განვითარებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

დასაქმების სფერო

შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებული თავის რეალიზაციას შეძლებს:

- ინდივიდუალურ შემოქმედებაში;
- საზოგადოებრივ სექტორში;
- კულტურის დაწესებულებებში;
- შესაბამისი კვალიფიკაციის წარმოებებში;
- შესრულებული მასალების გამოფენაზე წარდგენას;
- კერძო შეკვეთების შესრულებას;
- პედაგოგიურ მოღვაწეობას.

შეფასების სისტემა

სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასება 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდა 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.

დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).

სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:

დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე.

სწავლის გაგრძელება

ბაკალავრის ხარისხის მოპოვების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა		
აკადემიური პერსონალი		
სახელი, გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
მაია ჭიჭილეიშვილი	პროფესორი	ძველი ქართული ხელოვნების ისტორია; ახალი ქართული ხელოვნება (ზოგადი კურსი)
ქეთევან ვაჩიეიშვილი	პროფესორი	კომპოზიციის საფუძვლები; ქსოვილების კომპოზიცია და მასალაში შესრულება; დეკორატიული მხატვრობა; საბაკალავრო ნაშრომი.
რატი ჩიბურდანიძე	პროფესორი	მსოფლიო ხელოვნება (XVII- XVIII სს); მსოფლიო ხელოვნება (XIX - XX სს)
რატი ჩიბურდანიძე ნათია კვაჭაძე	პროფესორი ასოც. პროფესორი	მსოფლიო ხელოვნება (ძველი აღმოსავლეთი და ანტიკური პერიოდი); მსოფლიო ხელოვნება (შუა საუკუნეები და აღორძინების ეპოქა);
დიანა თალაკვაძე	ასოც. პროფესორი	სამოსის კომპოზიცია; მოდის ტენდენციები; საბაკალავრო ნაშრომი.
სერგო გოგოლაძე	ასოც. პროფესორი	ხატვა
ნოდარ კვიციანი	ასოც. პროფესორი	ფერთმცოდნეობა; ფერწერა
გულნარა გორგილაძე	ასოც. პროფესორი	ინგლისური ენა
ნინო მამულაძე	ასოც. პროფესორი	მარკეტინგის საფუძვლები
მოწვეული პერსონალი		
ნანა კუპრაძე	სპეციალისტი (Iკატ)	კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება; პრაქტიკა; საბაკალავრო ნაშრომი.
ქეთევან ფილიპოვა	სპეციალისტი (Iკატ)	ტექსტილის და სამოსის ისტორია
დავით კონცელიძე	სპეციალისტი (Iკატ)	სამეწარმეო საქმის სამართლებრივი საფუძვლები
ირინა ტორონჯაძე	სპეციალისტი (Iკატ)	პლასტიკური ანატომია
ნათია მიქელთაძე	სპეციალისტი (Iკატ)	აკადემიური წერა
ნინო მექვაბიშვილი	სპეციალისტი (Iკატ)	შემოქმედების ფსიქოლოგია
ერეკლე სიგუა	სპეციალისტი (Iკატ)	ფოტოხელოვნების საფუძვლები
ელიზბარ რამიშვილი	სპეციალისტი (Iკატ)	კომპიუტერული პროგრამები (საოფისე)
ზაზო პაიჭაძე	სპეციალისტი (Iკატ)	Adobe Photoshop; Adobe Illustrator; Adobe After Effects

პროგრამის ხელმძღვანელი

ქეთევან ვაჩიეიშვილი ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი მობ:599137483 e-mail:ketevanv@gmail.com

სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

ბხსუ უზრუნველყოფილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებითა და სასწავლო სახელოსნოებით. ბხსუ-ს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტი	საათების რ-ბა			კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით							
				სულ	საკონტ	დამოუ	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
სპეციალობის ძირითადი კურსები			165											
სპეციალობის კურსები			121				13	23	18	23	8	8	15	10
F1		კომპოზიციის საფუძვლები	3	75	45	30	3							
F2		ფერთმცოდნეობა	3	75	45	30	3							
2C1-1		ხატვა 1	4	100	60	40	4							
2C1-2	2C1-1	ხატვა 2	4	100	60	40		4						
2C1-3	2C1-2	ხატვა 3	4	100	60	40			4					
2C1-4	2C1-3	ხატვა 4	4	100	60	40				4				
2C2-1		ფერწერა 1	3	75	45	30	3							
2C2-2	2C2-1	ფერწერა 2	3	75	45	30		3						
2C2-3	2C2-2	ფერწერა 3	3	75	45	30			3					
2C2-4	2C2-3	ფერწერა 4	3	75	45	30				3				
F6	2C5-2	დეკორატიული მხატვრობა	5	125	75	50				5				
F3		ტექსტილის და სამოსის ისტორია	5	125	50	75		5						
2C3-1	F1	სამოსის კომპოზიცია 1	3	75	45	30		3						
2C3-2	2C3-1	სამოსის კომპოზიცია 2	3	75	45	30			3					
2C3-3	2C3-2	სამოსის კომპოზიცია 3	3	75	45	30				3				
2C3-4	2C3-3	სამოსის კომპოზიცია 4	2	50	30	20					2			
2C3-5	2C3-4	სამოსის კომპოზიცია 5	2	50	30	20						2		
2C3-6	2C3-5	სამოსის კომპოზიცია 6	2	50	30	20							2	
F5		პლასტიკური ანატომია	3	75	45	30			3					
2C4		მოდის ტენდენციები	2	50	30	20					2			
2C5-1	F1	ქსოვილების კომპოზიცია და მასალაში შესრულება 1	2	50	30	20		2						
2C5-2	2C5-1	ქსოვილების კომპოზიცია და მასალაში შესრულება 2	2	50	30	20			2					
2C5-3	2C5-2	ქსოვილების კომპოზიცია და მასალაში შესრულება 3	2	50	30	20				2				
2C5-4	2C5-3	ქსოვილების კომპოზიცია და მასალაში შესრულება 4	2	50	30	20					2			
2C5-5	2C5-4	ქსოვილების კომპოზიცია და მასალაში შესრულება 5	2	50	30	20						2		
2C5-6	2C5-5	ქსოვილების კომპოზიცია და მასალაში შესრულება 6	2	50	30	20							2	
2C6-1		კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 1	6	150	90	60		6						
2C6-2	2C6-1	კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 2	5	125	75	50			5					
2C-1p	2C6-1	პრაქტიკა 1	1	25	15	10				1				

2C6-3	2C6-2	კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 3	4	100	60	40				4				
2C6-4	2C6-3	კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 4	4	100	60	40				4				
2C6-5	2C6-4	კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 5	4	100	60	40					4			
2C6-6	2C6-5	კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება 6	9	225	135	90						9		
2C-2p	2C6-4; 2C-1p	პრაქტიკა 2	2	50	30	20						2		
2C7	2C3-6; 2C6-6	საბაკალავრო ნაშრომი	10	250	150	100							10	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები			44				6	3	10	6	5	9	5	
F4	შესავალი შემოქმედების ფსიქოლოგიაში		3	75	30	45	3							
F8	მსოფლიო ხელოვნება (ძვ. აღმოსავლეთი და ანტიკური პერიოდი)		3	75	30	45	3							
F9	მსოფლიო ხელოვნება (შუა საუკუნეები და აღორძინების ეპოქა)		3	75	30	45		3						
F10	მსოფლიო ხელოვნება (XVII- XVIII სს)		3	75	30	45			3					
F11	მსოფლიო ხელოვნება (XIX - XX სს)		3	75	30	45				3				
F7	ფოტოხელოვნების საფუძვლები		4	100	60	40			4					
F12	ძველი ქართული ხელოვნების ისტორია		3	75	30	45			3					
F13	ახალი ქართული ხელოვნება (ზოგადი კურსი)		3	75	30	45				3				
10C3	მარკეტინგის საფუძვლები		5	125	50	75					5			
F14	სამეწარმეო საქმის სამართლებრივი საფუძვლები		3	75	30	45						3		
F15	Adobe Photoshop; Adobe Illustrator		6	150	60	90						6		
F22	Adobe After Effects		5	125	50	75							5	
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები			15				10	5						
U-1		აკადემიური წერა	3	75	30	45	3							
U-2		კომპიუტერული პროგრამები (საოფისე)	2	50	30	20	2							
E-A1.1		ინგლისური ენა A1.1	5	125	50	75	5							
E-A1.2	E-A1.1	ინგლისური ენა A1.2	5	125	50	75		5						
E-A2.1		ინგლისური ენა A2.1	5	125	50	75	5							
E-A2.2	E-A2.1	ინგლისური ენა A2.2	5	125	50	75		5						
E-B1.1		ინგლისური ენა B1.1	5	125	50	75	5							
E-B1.2	E-B1.1	ინგლისური ენა B1.2	5	125	50	75		5						
E-B2.1		ინგლისური ენა B2.1	5	125	50	75	5							
E-B2.2	E-B2.1	ინგლისური ენა B2.2	5	125	50	75		5						
დამატებითი სპეციალობა minor/არჩევითი ბლოკები/კურსები			60	1500	600	900					15	15	10	20
სულ			240	6000	3110	2890	29	31	31	29	28	32	30	30